



## საქართველოს კანონი

### „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №51, 31.12.2006, მუხ. 448) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17 მუხლის:

ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უზრუნველყოფს შესაბამისი ფულადი სოციალური დახმარების ადმინისტრირებას;“.

2. 26<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26<sup>1</sup>. ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობისა და სოციალური პაკეტის ლეგალიზაცია

1. 2021 წლის 1 აპრილამდე ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობა და სოციალური პაკეტი ლეგალიზებულად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

2. შეწყდეს ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები ამ მუხლის პირველი პუნქტით ლეგალიზებული საარსებო შემწეობისა და სოციალური პაკეტის დაბრუნების თაობაზე საქმეებზე.

3. 2021 წლის 1 აპრილამდე დაკავებული საარსებო შემწეობისა და სოციალური პაკეტის თანხები, აგრეთვე საარსებო შემწეობისა და

სოციალური პაკეტის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*სალომე ზურაბიშვილი*



სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

9 ივნისი 2021 წ.

N608-IVმს-Xმპ